ინფორმაცია სიცოცხლის დაზღვევის შესახებ
საკრედიტო ხელშეკრულების დანართი

1. **დაზღვევაში მონაწილე მხარეები:**

მზღვეველი - სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი, ს/კ №404476189,
იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ბ. კვერნაძის ქ., N10

დამზღვევი/ბანკი - სს კრედო ბანკი, ს/კ №205232238, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, რ. თაბუკაშვილის ქ. N27

დაზღვეული/კლიენტი - ფიზიკური პირ(ებ)ი, რომელსაც **ბანკთან** გაფორმებული აქვთ **საკრედიტო ხელშეკრულება** და წარმოადგენს **საკრედიტო ხელშეკრულების** შესაბამისად **კლიენტს**.

2. **დაზღვევის პირობები/ სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტები**

2.1. **კლიენტის** გარდაცვალების რისკზე დაზღვევას ექვემდებარება **საკრედიტო ხელშეკრულების** შესაბამისად საბანკო კრედიტის ძირითადი თანხის ჯამური დავალიანება (რომელიც არ მოიცავს დარიცხულ სარგებელს ან/და ჯარიმას/პირგასამტეხლოს) 2.3. პუნქტით გათვალისწინებული ასაკობრივი ჯგუფებისათვის დადგენილი ლიმიტებისა და **კლიენტზე** სადაზღვევო ანაზღაურების გადანაწილებული ოდენობების შესაბამისად.

2.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას **მზღვეველის** მიერ სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა გარდაცვალების დღისათვის საბანკო კრედიტის დაუფარავი ძირითადი თანხის დავალიანების შესაბამისი ოდენობის (რომელიც არ მოიცავს დარიცხულ სარგებელს ან/და ჯარიმას/პირგასამტეხლოს), 2.3. პუნქტით გათვალისწინებული ასაკობრივი ჯგუფებისათვის დადგენილი ლიმიტებისა და **კლიენტზე** სადაზღვევო ანაზღაურების გადანაწილებული ოდენობების გათვალისწინებით.

2.3. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დადგენილი ლიმიტის ფარგლებში სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება შემდეგი ცხრილის მიხედვით:

№	**კლიენტის ასაკი**	**სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა (ლარი)**
1	ნაკლებია 45-ზე	500 000 (ხუთასი ათასი)
2	ტოლია ან მეტია 45-ზე და ნაკლებია 55-ზე	250 000 (ორასორმოცდაათი ათასი)
3	ტოლია ან მეტია 55-ზე და ნაკლებია 65-ზე	125,000 (ასოცდახუთი ათასი)
4	ტოლია ან მეტია 65-ზე და ნაკლებია 72-ზე	60,000 (სამოცი ათასი)

2.4. თუ საბანკო კრედიტი გაცემულია უცხოურ ვალუტაში, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა დარჩენილი/დაუფარავი საკრედიტო დავალიანების ოდენობით, ეროვნულ ვალუტაში, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად, თუმცა არაუმეტეს წინამდებარე დანართის 2.3. პუნქტით გათვალისწინებული სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობისა.

2.5. **საკრედიტო ხელშეკრულების** ფარგლებში რამდენიმე **კლიენტის** არსებობის შემთხვევაში, 2.3. პუნქტით გათვალისწინებული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დადგენილი ლიმიტის ფარგლებში სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა გარდაცვლილი **კლიენტის** ასაკის გათვალისწინებით განისაზღვრება თითოეული **კლიენტისათვის** ცალ-ცალკე.

2.6. იმ შემთხვევაში, თუ **საკრედიტო ხელშეკრულებით** განსაზღვრულ **კლიენტს** წარმოადგენს ერთდროულად რამდენიმე პირი და საკრედიტო დავალიანება დაზღვეულია ყველა **კლიენტის** გარდაცვალების რიკსზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სადაზღვევო ანაზღაურებას ექვემდებარება, მხოლოდ ამავე **საკრედიტო ხელშეკრულების** ფარგლებში შესაბამის **კლიენტზე** გადანაწილებული სადაზღვევო ანაზღაურების პროპორციული ოდენობა, თუმცა არაუმეტეს წინამდებარე დანართის 2.3. პუნქტით გათვალისწინებული სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობისა.

2.7. იმ შემთხვევაში, თუ **საკრედიტო ხელშეკრულებით** განსაზღვრულ **კლიენტს** წარმოადგენს ერთდროულად რამდენიმე პირი და საკრედიტო დავალიანება დაზღვეულია ყველა **კლიენტის** გარდაცვალების რიკსზე და

- თუ ერთ-ერთი **კლიენტი** გახდება 72 წლის, რა დროსაც წყდება ამ კონკრეტული **კლიენტის** მიმართ არსებული დაზღვევას დაქვემდებარებული საკრედიტო დავალიანების დაზღვევა; და/ან
- თუ ერთ-ერთი **კლიენტი** გარდაიცვლება, რა დროსაც დადგენილი პირობების გათვალისწინებით სადაზღვევო შემთხვევა არ ანაზღაურდება (არ ექვემდებარება ანაზღაურებას) **კლიენტს** აქვს უფლება გადაანაწილოს ამავე **საკრედიტო ხელშეკრულების** ფარგლებში არსებული საკრედიტო დავალიანება და გაზარდოს სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა, თუმცა არაუმეტეს წინამდებარე დანართის 2.3. პუნქტით გათვალისწინებული სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობისა.

3. **სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებასთან დაკავშირებული გამონაკლისები:**

3.1. წინამდებარე პირობების თანახმად, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას **მზღვეველისგან** სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა არ მოხდება, თუ **კლიენტის** გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია რომელიმე ქვემოთ მოყვანილი მიზეზით:

- ომით, დაპყრობით, უცხოელი მტრების ქმედებებით, საომარი მოქმედებებით (მიუხედავად ომის გამოცხადებისა თუ გამოუცხადებლობისა), სამოქალაქო ომით, რევოლუციით, აჯანყებით, გაფიცვით, ნებისმიერი პირის ქმედებით, რომელიც მოქმედებს რაიმე ორგანიზაციის დავალებით ან დამოუკიდებლად და მიზნად ისახავს De Jure ან De Facto ხელისუფლების სამხედრო გადატრიალების გზით დამხობას ან მასზე ზეგავლენას ტერორისტული ან ძალისმიერი მეთოდებით;
- მაიონიზირებელი გამოსხივებით, გარემოს რადიაქტიური დაბინძურებით, ბირთვული საწვავის აალებით;
- **კლიენტის** ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფსიქოტროპული ნივთიერება დანიშნული იყო შესაბამისი ლიცენზიის მქონე ექიმის მიერ და მიღებული იყო **კლიენტის** მიერ ექიმის დანიშნულებით განსაზღვრული მიღების წესის ზედმიწევნით

დაცვით), ასევე ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი **კლიენტის** მიერ ავტოსანტრანსპორტო საშუალების მართვისას დამდგარი ავტოსაგზაო შემთხვევა

- **კლიენტის** მიერ ჩადენილი თვითმკვლელობით ან თვითმკვლელობის მცდელობით, განზრახ თვითდაზიანებით;
- **კლიენტის** მკვლელობით, მკვლელობის მცდელობით ან სხეულის/ჯანმრთელობის დაზიანებით, რომლის პირდაპირ, თუ არაპირდაპირ მონაწილედ გვევლინება ბანკი ან/და საბანკო კრედიტის სხვა **კლიენტები** ან/და **კლიენტის** მემკვიდრეები;
- **კლიენტის** მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენით ან მისი ჩადენის მცდელობით;
- **კლიენტის** შიდსით ან HIV-ით ინფიცირებით;
- **კლიენტის** ფსიქიკური ავადმყოფობით ან გონების დაბინდვით;
- **კლიენტის** მონაწილეობით სამხედრო ან საპოლიციო ოპერაციის ჩატარებაში;
- **კლიენტის** მონაწილეობით სიჩქარეზე შეჯიბრში ნებისმიერი სახმელეთო, საჰაერო ან საწყალოსნო საშუალებების გამოყენებით;
- **კლიენტის** მიერ საკუთარი ნებით ხიფათში თავის ჩაგდებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი ქმედება მიმართულია ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად;
- **კლიენტის** მიერ სანაძლეოს პირობების შესრულებით, აკრობატული ილეთების შესრულებით, რეკორდის დამყარებით ან ამის მცდელობით;
- **კლიენტის** მონაწილეობით პროფესიული სპორტის სახეობებში (შეჯიბრი, წვრთნა, საჩვენებელი გამოსვლა);
- **კლიენტის** მონაწილეობით შემდეგი სამოყვარულო სპორტის სახეობებში: საბრძოლო სახეობები, აკვალანგით ყვინთვა, პარაშუტით ან დელტაპლანით ხტომა, კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, სპელეოლოგია;
- **მოცდის პერიოდში** მსესხებლის მძიმე დაავადებ(ებ)ით გარდაცვალებით. ამასთან თუ მსესხებელს აქვს უწყვეტი სადაზღვევო ისტორია და მსესხებელი ახალი სესხით გადაფარავს ძველი სესხ(ებ)იდან გამომდინარე დაზღვევას დაქვემდებარებულ საკრედიტო დავალიანებას ან გაზრდის მიმდინარე სესხ(ებ)ს, ხოლო გაზრდილი/გადაფარვის შემდგომ დამატებული, დაზღვევას დაქვემდებარებული საკრედიტო დვალიანების ოდენობა: ა) ნაკლებია გაზრდამდე/გადაფარვამდე არსებული დაზღვევას დაქვემდებარებული საკრედიტო დავალიანების 50%-ზე, მოცდის პერიოდი სრულ დაზღვევას დაქვემდებარებული საკრედიტო დავალიანებაზე აითვლება უწყვეტი სადაზღვევო ისტორიის დაწყების მომენტიდან; ბ) მეტია გაზრდამდე/გადაფარვამდე არსებული დაზღვევას დაქვემდებარებული საკრედიტო დავალიანების 50%-ზე, მაშინ მოცდის პერიოდი, ცალკეულად აითვლება, ხელშეკრულებით დადგენილი წესით დაზღვევას დაქვემდებარებული საკრედიტო დავალიანების გაზრდილ მოცულობაზე, მათი გადაფარვის/გაზრდის მომენტიდან და იგი შეადგენს 6 თვეს, თუმცა თუ აღნიშნული 6 თვიანი მოცდის პერიოდი, სრულდება უწყვეტი სადაზღვევო ისტორიის დაწყების მომენტიდან, 12 თვის დასრულებამდე, ასეთ დროს იგი გაგრძელდება, ამავე 12 თვიანი პერიოდის დასრულებამდე ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ახალი სესხ(ებ)ით გადაფარული/გაზრდილი ძველი სესხების გადაუხდელ დაზღვევას დაქვემდებარებული საკრედიტო დავალიანებაზე კვლავ გავრცელდება შესაბამისი მოცდის პერიოდი, მოცდის

პერიოდისათვის ხელშეკრულებით დადგენილი ვადებით და წესით. დაზუსტების მიზნით მხარეები განმარტავენ რომ წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის უწყვეტი სადაზღვევო ისტორია ნიშნავს, დაზღვევას დაკვემდებარებული საკრედიტო დავალიანების, ხლეშეკრულებით დადგენილი წესით ანგარიშში პირველადი მითითებიდან დაზღვევის უწყვეტად მიმდინარეობას.

სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების განსაკუთრებულ პირობაზე, კერძოდ: იმ შემთხვევაში თუ მსესხებელს აქვს უწყვეტი სადაზღვევო ისტორია და მსესხებელი ახალი სესხით გადაფარავს ძველი სესხ(ებ)იდან გამომდინარე დაზღვევას დაქვემდებარებულ საკრედიტო დავალიანებას ან გაზრდის მიმდინარე სესხ(ებ)ს, ხოლო გაზრდილი/გადაფარვის შემდგომ დამატებული დაზღვევას დაქვემდებარებული საკრედიტო დვალიანების ოდენობა მეტია გაზრდამდე/გადაფარვამდე არსებული დაზღვევას დაქვემდებარებული საკრედიტო დავალიანების 50%-ისა და არ არის გასული 7.1.15 პუნქტით განსაზღვრული 6 თვიანი მოცდის პერიოდი, სადაზღვევო ანაზღაურებას ექვემდებარება დაზღვევას დაქვემდებარებული საკრედიტო დავალიანების გაზრდამდე/გადაფარვამდე არსებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის არსებული დაზღვევას დაქვემდებარებული საკრედიტო დავალიანების ოდენობა, და ასევე ამავე თანხის 50%, თუმცა არაუმეტეს ხელშეკრულების 6.1 პუნქტით განსაზღვრული სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობისა. დაზუსტების მიზნით მხარეები განმარტავენ რომ, ასეთ შემთხვევაში გაზრდილი/გადაფარვის შემდგომ დამატებული დაზღვევას დაქვემდებარებული საკრედიტო დვალიანების, დარჩენილი ოდენობა წარმოადგენს გამონაკლის შემთხვევას და არ ექვემდებარება ანაზღაურებას.

- ამ დანართის მიზნებისათვის ქვემოთმითითებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

მძიმე დაავადებ(ებ)ი - ავთვისებიანი სიმსივნე, ღვიძლის ფიბროზი ან ციროზი, ღვიძლის ქრონიკული უკმარისობა, ჰეპატიტი C, თირკმლის ქრონიკული უკმარისობა, გულის ქრონიკული უკმარისობა, ტუბერკულოზი, გულის თანდაყოლილი ანომალიები, შაქრიანი დიაბეტი ან მისი გართულება, უშაქრო დიაბეტი ან მისი გართულება, ცერებროვასკულარული დაავადებები (გარდა ინსულტის პირველადი შემთხვევისა).

მოცდის პერიოდი - დაზღვევის დაწყების მომენტიდან 12 (თორმეტი) თვე, რომლის განმავლობაშიც მძიმე დაავადებ(ებ)ით გამოწვეული **კლიენტის** გარდაცვალება არ ექვემდებარება სადაზღვევო ანაზღაურებას;

4. დაზღვევის შეწყვეტა:

4.1. **კლიენტის** სიცოცლის დაზღვევა წყდება თუ ის საბანკო კრედიტის მოქმედების განმავლობაში მიაღწევს 72 წლის ასაკს.

4.2. თუ **კლიენტს** წარმოადგენს ერთდროულად რამდენიმე პირი და **საკრედიტო ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში ერთი-ერთი **კლიენტი** მიაღწევს 72 წლის ასაკს, სიცოცლის დაზღვევის სადაზღვევო ანაზღაურება შეწყდება კონკრეტულ სესხში ამ პირის სადაზღვევო ანაზღაურების გადანაწილებული პროპორციული ოდენობის შესაბამისად;

4.3. **კლიენტის** სიცოცხლის დაზღვევა უქმდება, თუ მოხდება **ბანკის** მიერ **საკრედიტო ხელშეკრულების** ფარგლებში გაცემული საბანკო კრედიტის ჩამოწერა. (საბანკო კრედიტის ჩამოწერა ნიშნავს, საბანკო კრედიტის გადასვლას **ბანკის** პრობლემური სესხების პორტფელში, რაც მოხდება იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** არ გადაიხდის საბანკო კრედიტით გათვალისწინებულ თანხას და ბოლო გადახდიდან გასული 180 (ასოთხმოცი) კალენდარული დღე).

5. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძვლები და გასაცემად აუცილებელი ინფორმაციის/დოკუმენტაციის ბანკისათვის წარდგენის წესი

5.1.სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან უმოკლედ ვადებში მაგრამ არაუმეტეს 2 (ორი) კვირისა **კლიენტის** წარმომადგენელი (მემკვიდრე) ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს** გარდაცვალების ფაქტის შესახებ და წარმოადგინოს **ბანკის** მიერ სადაზღვევო შემთხვევის ასანაზღაურებლად მოთხოვნილი საბუთები:

- **კლიენტის** გარდაცვალების მოწმობა;
- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული, უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი და ხელმოწერილი, სამედიცინო ცნობა **კლიენტის** გარდაცვალების შესახებ - ფორმა N106ს-4, რომელშიც მითითებული უნდა იყოს **კლიენტის** გარდაცვალების კონკრეტული/უტყუარად დადგენილი მიზეზი, გარდაცვალების თარიღი, ადგილი და კლიენტის ასაკი. ამასთან თუ აღნიშნული ცნობა არ შეიცავს ჩამოთვლილ ინფორმაციას, სავალდებულოა, გარდაცვლილის გაკვეთის საფუძველზე შესაბამისი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა, სადაც მითითებული იქნება გარდაცვალების კონკრეტული/უტყუარად დადგენილი მიზეზი;
- უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევაში, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ცნობა, ექსპერტიზის დასკვნა გარდაცვალების მიზეზის შესახებ, თუ მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, გამოძიების ხელთ არსებული დოკუმენტაცია (საქმის მასალები);

5.2. **ბანკს** აქვს უფლება კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე მოითხოვოს **მზღვეველის** მიერ მოთხოვნილი, სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული სხვა დამატებითი დოკუმენტაცია.

5.3. **მზღვეველის** მოთხოვნის შემთხვევაში, **მზღვეველს** გადაეცემა **ბანკსა** და **კლიენტს** შორის გაფორმებული **საკრედიტო ხელშეკრულება** ან/და სხვა რაიმე დოკუმენტი.

5.4. იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა არ აღემატება 12000 (თორმეტი ათასი) ლარს და ამავდროულად წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, ასევე **კლიენტის** გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის (ფორმა N106ს-4) საფუძველზე ვერ ხორციელდება **კლიენტის** გარდაცვალების კონკრეტული/უტყუარად დადგენილი მიზეზის დადგენა, **მზღვეველის** მიერ სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა ასეთი მიზეზის მითითების გარეშეც.

5.5. იმ შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა გამომდინარეობს ონლაინ რეჟიმში გაცემული კატეგორიის სესხებიდან გამომდინარე - ე.წ „ვირტუალური ფილიალი“ და ამავდროულად სადაზღვევო ანაზღაურება არ აღემატება 600 (ექვსასი) ლარს, **მზღვეველის** მიერ სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ **კლიენტის** გარდაცვალების მოწმობის წარდგენის საფუძველზე (ამ დანართის მე-3 პუნქტით

დადგენილი სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებასთან დაკავშირებული გამონაკლის(ებ)ის გათვალისწინებით);

5.6. იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ასანაზღაურებელი სადაზღვევო ანაზღაურება არ აღემატება 300 (სამასი) ლარს, **მზღვეველის** მიერ სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ **კლიენტის** გარდაცვალების მოწმობის წარდგენის საფუძველზე. (ამ დანართის მე-3 პუნქტით დადგენილი სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებასთან დაკავშირებული გამონაკლის(ებ)ის გათვალისწინებით);

*ყველა აუცილებელი დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სადაზღვევო შემთხვევა არ ექვემდებარება **მზღვეველის** მიერ ანაზღაურებას.*

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: (032) 2 424242

გააცანით სიცოცხლის დაზღვევის პოლისის პირობები ოჯახის წევრებს.

სიცოცხლის დაზღვევის შესახებ სხვა დამატებითი პირობების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ვებ-გვერდზე:

_____	_____
ბანკის მხრიდან ხელმოწერა	კლიენტის ხელმოწერა
	_____
	კლიენტის ხელმოწერა